

განმარტებითი ბარათი

“სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისთვის დაწესებული საფასურის შესახებ”

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

მოქმედი წესის თანახმად, სააგენტოს მიერ მისი უფლებამოსილების სფეროში განხორციელებული მომსახურებისათვის “სახელმწიფო ბაჟის შესახებ” საქართველოს კანონით დაწესებულია სახელმწიფო ბაჟი, ხოლო შესაბამისი მომსახურების დაჩქარებულ ვადაში გაწევისათვის – საფასური, “სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისთვის დაწესებული საფასურის შესახებ” საქართველოს კანონით, რომელიც წარმოედგენს სააგენტოს შემოსავალს.

“სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისთვის დაწესებული საფასურის შესახებ” საქართველოს კანონით აგრეთვე გათვალისწინებულია ცალკეული მომსახურებები, რომლისთვისაც არ არის დაწესებული სახელმწიფო ბაჟი და გადაიხდებიან მხოლოდ საფასური. შესაბამისად, სააგენტოს გააჩნია დაფინანსების ორი მთავარი წყარო – მომსახურების საფასურიდან მიღებული შემოსავალი და სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება.

სააგენტოს საქმიანობის ანალიზმა და რეფორმის შეფასებამ ცხადყო, რომ მის მიერ დღემდე მიღწეული წარმატებები და მდგრადი განვითარების ტენდენცია მნიშვნელოვნად განაპირობა გარკვეული ფინანსური დამოუკიდებლობის ქონამ, რაც თავის მხრივ განპირობებული იყო სააგენტოს საკუთარი შემოსავლის – საფასურის არსებობით. შესაბამისად მიჩნეული იქნა, რომ სააგენტოს განვითარების ტემპის შესანარჩუნებლად და ახალი გამოწვევებისათვის თავის გასართმევად მიზანშეწონილია სააგენტომ საფასურის სახით თვითონ მიიღოს ყველა გადასახდელი რაც გადაიხდება მის მიერ გაწეული მომსახურებისათვის და სახელმწიფო ბიუჯეტიდან აღარ მოხდეს მისი დაფინანსება.

“სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის შესახებ” დღეს მოქმედი კანონი დაუხვეწავია სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით, რამაც აგრეთვე განაპირობა ახალი კანონპროექტის მომზადება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის შემუშავების მიზანია სააგენტოს საქმიანობის სრულყოფა, ფინანსური მდგრადობის გაძლიერება, მოქნილი ფინანსური მექანიზმების შექმნის უზრუნველყოფა.

კანონპროექტის შემუშავების მიზანია აგრეთვე “სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისთვის დაწესებული საფასურის შესახებ” არსებული კანონის იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით სრულყოფა, დაინტერესებული პირის მიერ გადახდილი საფასურის სააგენტოს მიერ დაბრუნების და საფასურისგან გათავისუფლების პირობების სამართლებრივი რეგლამენტაცია.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტი ითვალისწინებს სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის საფასურის განაკვეთების და მომსახურების ვადების განსაზღვრას, თუმცა პრაქტიკულად არ იცვლება არც მომსახურების ვადები და არც საფასური. კანონპროექტი უცვლელად ითვალისწინებს

“სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისთვის დაწესებული საფასურის შესახებ” მოქმედი კანონით განსაზღვრულ საფასურებს და მომსახურების ვადებს.

კანონპროექტით გათვალისწინებულია ახალი საფასურების დადგენა იმ საქმიანობათვის რომლისთვისაც დღეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გადაიხდეინება სახელმწიფო ბაჟი. შესაბამისად უქმდება სახელმწიფო ბაჟი ყველა იმ მომსახურებისათვის რასაც სააგენტო ეწევა. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად არ იცვლება განაკვეთები – ის რაც სახელმწიფო ბაჟის სახით გადაიხდეინებოდა, გადახდილი იქნება, როგორც საფასური და ჩაირიცხება სააგენტოს ანგარიშზე.

2010 წლიდან სააგენტო დაიწყებს პასპორტების გაცემას ბიომეტრული მონაცემების შემცველობით, შესაბამისად კანონპროექტი ითვალისწინებს საფასურს ბიომეტრული პასპორტის გაცემისათვის.

კანონპროექტი არ აწესებს საფასურს სარიტუალო მომსახურების გარეშე ქორწინების რეგისტრაციისათვის, შესაბამისად ამ კანონპროექტისა და სახელმწიფო ბაჟის შესახებ კანონში ცვლილების შედეგად ქორწინების რეგისტრაცია გახდება უფასო.

წარმოდგენილი კანონპროექტი ნათლად აწესრიგებს გადახდილი საფასურის უკან დაბრუნების საკითხს და განსაზღვრავს საფასურის გადახდისაგან განთავისუფლების პირობებს, რაც აღმოფხვრის დღეს მოქმედი კანონის ბუნდოვანი დებულებებით გამოწვეულ პრობლემებს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ.) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

2008 წლის მონაცემების შესაბამისად, სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი იქნა 11 240 000 ლარი, შესაბამისად, ამ კანონპროექტისა და სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე კანონპროექტის ამოქმედების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს გამოაკლდება დაახლოებით 11 000 000 ლარი. თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ სააგენტოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აღარ გამოეყოფა 8 155 000 ლარი და ბაჟის ნაცვლად სააგენტოსთვის საფასურის სახით გადახდილი თანხიდან (იგივე 11 000 000 ლარიდან) გადახდილი იქნება გადასახადები, კანონპროექტის რეალური გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტზე არ აღემატება 1 – 1,5 მილიონ ლარს.

ბ.გ.) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

2009 წელს, ისევე, როგორც 2008 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს გამოეყო 8 155 000 ლარი. კანონპროექტის მიღების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტიდან აღარ დაფინანსდება სააგენტო. 2010 წლიდან სააგენტოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსება საბიუჯეტო განაცხადის პროექტის თანახმად განისაზღვრება მხოლოდ 1000 (ერთი ათასი) ლარით, .

ბ.დ) კანონპროექტის ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს ფინანსურ გავლენას სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მომსახურებით დაინტერესებულ პირებზე, ვინაიდან პრაქტიკულად არ იცვლება მომსახურებისათვის გადასახდელი თანხის ოდენობა. ცალკეულ მომსახურებებზე დღეისათვის არსებული სახელმწიფო ბაჟის ნაცვლად გადასახდელი იქნება საფასური იგივე ოდენობით.

რაც შეეხება კანონპროექტით გათვალისწინებულ ახალ – ბიომეტრული მონაცემების შემცველი დოკუმენტის (ბიომეტრული პასპორტი) გაცემის საფასურს, ის არ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას დაინტერესებულ პირებზე, ვინაიდან მათ კვლავ ექნებათ შესაძლებლობა საზღვარგარეთ გასამგზავრებლად მიიღონ პასპორტი, ბიომეტრული მონაცემების გარეშე, რისთვისაც წესდება საფასური დღეისათვის არსებული სახელმწიფო ბაჟის ოდენობით.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

წარმოდგენილი კანონპროექტით დგინდება საფასური სააგენტოს მიერ გაწეული ისეთი მომსახურებისათვის, რომლისთვისაც დღეს მოქმედი კანონმდებლობით დაწესებულია სახელმწიფო ბაჟი. აღნიშნული მომსახურებისათვის კანონპროექტით გათვალისწინებულია საფასური დღეს არსებული სახელმწიფო ბაჟის ოდენობით.

2010 წლიდან დაგეგმილი ბიომეტრული პასპორტების გაცემა, შესაბამისად კანონპროექტი ითვალისწინებს მომსახურების საფასურის დაწესებას ბიომეტრული პასპორტების გაცემისათვის - 100 ლარის ოდენობით. საფასურის ასეთი განაკვეთის განსაზღვრა განპირობა, როგორც თავად ბიომეტრული პასპორტის ბლანკებისა და მისი პერსონალიზაციისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის ხარჯების მოცულობამ, ასევე სააგენტოს მიერ გაწეული უფასო მომსახურებებზე გაწეულმა ხარჯებმა. კერძოდ, სააგენტო ახორციელებს ისეთ უფასო მომსახურებებს როგორცაა პირადობის მოწმობის გაცემა, დაბადების, გარდაცვალებისა და ქორწინების რეგისტრაცია, სამსახურეობრივი პასპორტისა და ლტოლვილის სამგზავრო დოკუმენტის გაცემა, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენა და ა.შ. აღნიშნულ უფასო მომსახურებებზე გაწეულია დანახარჯები ნაწილდება და აისახება ისეთი მომსახურებების საფასურში, რომელთა მიღება გადაუდებელ აუცილებლობას არ წარმოადგენს მოქალაქეებისათვის.

რაც შეეხება თავად ბიომეტრული პასპორტების გასაცემად საჭირო დანახარჯებს, შესაბამისი აღჭურვილობისა და ინფრასტრუქტურის შესაქმნელად უკვე დახარჯულია 11 000 000 ლარი, რაც მოიცავს ფოტო საძიებო სისტემის, თითის ანაბეჭდის ასაღები აპარატურის, სერვერული ცენტრების, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის და სხვა ტექნიკის ხარჯებს. მომოვალი სამი წლის განმავლობაში ბიომეტრული პასპორტის ბლანკების შესაძენად საჭიროა დამატებით 16 000 000 ლარი. ასევე მხედველობაშია მისაღები ბიომეტრული პასპორტის გაცემისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციის დანახარჯები.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო/სამოქალაქო რეესტრის სააგენტო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორები არაინ საქართველოს პარლამენტის წევრები – ლაშა თორდია, კახაბერ ანჯაფარიძე და ზვიად კუკავა.